

მემორანდუმი

ქ. ზუგდიდი

6 თებერვალი 2009 წელი

ერთმანეთთან გრძელვადიანი და ურთიერთმომგებიანი პარტნიორული ურთიერთობების განვითარებისა და განათლების სფეროში ურთიერთ-თანამშრომლობის სურვილიდან გამომდინარე,

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტი (შემდგომში “ინსტიტუტი”) რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი თეონა ხუფენია და სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში “უნივერსიტეტი”) რექტორი, პროფესორი ალიოშა ბაკურაძე, ვთანხმდებით შემდეგზე:

I. შეთანხმების საგანი

შეთანხმების საგანს წარმოადგენს მხარეთა სურვილი, ითანამშრომლონ განათლების სფეროში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის. ამ მიზნით, დაეხმარონ ერთმანეთს გამოცდილების გაზიარებასა და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება- განხორციელებაში, ასევე მაგერიალურ – ტექნიკური ბაზის სრულყოფაში.

II. მხარეთა უფლება - მოვალეობები

მხარეები იღებენ ვალდებულებას

- ერთმანეთს შორის საქმიანი ურთიერთობა აწარმოონ სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპების საფუძველზე.
- შეიმუშაონ და განახორციელონ ერთობლივი პრაქტიკული და თეორიული სასწავლო პროგრამები, სამეცნიერო კვლევები. (კურიკულუმის განვითარება, ტრენინგები, სამეცნიერო კონფერენციები, ლექტორ – მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამები სტუდენტების დოქტორანტურაში სწავლებისათვის ხელის შეწყობა, ბიბლიოთეკის აღჭურვა, სასწავლო მაგერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა).
- აღიარონ ამ სასწავლებლებში მინიჭებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტები.

- ხელი შეუწყონ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების კოორდინირებულ მუშაობას, მათ თანამშრომლობას ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციისათვის მოსამზადებლად.
- მხარეები ერთობლივად დახვეწენ ხარისხის მონიტორინგის ჩატარების მეთოდოლოგასა და დანერგვის ხერხებს. მოთხოვნის შემთხვევაში ჩაატარებენ პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლის შეფასებას და იზრუნებენ პრობლემების გადაჭრის გზებზე.
- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტი და შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი თანხმდებიან მასზე, რომ სტუდენტებმა და პროფესორ მასწავლებლებმა ისარგებლონ აღნიშნული სასწავლებლის საბიბლიოთეკო ფონდებით.

III. მემორანდუმის მოქმედების ვადა

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის თანავე და მოქმედებს უვადოდ. მემორანდუმიდან გასვლა შესაძლებელია ერთ – ერთი მხარის წერილობითი შეცვობინების საფუძველზე, არაუგვიანეს ერთი თვისა.

IV. დამატებითი საკითხები

საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე მემორანდუმით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე მხარეებს შორის დადებული ცალკეული ხელშეკრულებითა და შეთანხმებით.

მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ედემპლარად ქართულ ენაზე და თითოეული ეგემპლარი ინახება მხარეებთან ცალ – ცალკე.


V. მხარეები

სსიპ შოთა მესხიას გუგდიდის
სახელმწიფო ინსტიტუტი
ქ. გუგდიდი, ჯანაშიას ქ. 14

ტელ. (877419041)

თ. ხუციანი

თეონა ხუციანი



შოთა რუსთაველის სახელობის
ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. № 35

ტელ. (8222) 71780

ა. ასუჩიძე

ალიოზა ბაკურიძე

რექტორი, პროფესორი

